



მეთოდური მითითება

შინაარსი

■ არასასურსათო საქონლის არაარსებითი დანაკარგები სავაჭრო ობიექტებში



სავაჭრო ობიექტებში გამოვლენილი არასასურსათო საქონლის არაარსებითი დანაკარგების დანაკლისად განუხილველობა

2022 წლის 17 ოქტომბერს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 13 ოქტომბრის ბრძანება N26094, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით, არაარსებითი ეკონომიკური გავლენის მქონე სამეურნეო ოპერაციების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე. აღნიშნულ ბრძანებაში განიმარტა სავაჭრო ობიექტებისათვის არასასურსათო საქონლის არაარსებითი დანაკარგის ცნება, რომელიც არ იქნება განხილული დანაკლისად გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის. ეს არის გადასახადის გადამხდელის სავაჭრო ობიექტებში მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში გამოვლენილი არასასურსათო საქონლის დანაკლისის ჯამი, რომლის საბაზრო ღირებულება (დღგ-ის გარეშე) არ აღემატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზებული, მათ შორის დანაკლისად დაბეგრილი, არასასურსათო საქონლის სარეალიზაციო ღირებულებათა (დღგ-ის გარეშე) ჯამის 0.5%-ს.

+ + + + + +
+
+
+
+



არასასურსათო საქონელი აღნიშნული მეთოდური მითითების მიზნებისთვის არის ნებისმიერი პროდუქტი, გარდა შემდეგისა:

- ა) სურსათი
- ბ) აქციზური საქონელი
- გ) ღვინო
- დ) მარკირებას/ნიშანდებას დაქვემდებარებული სასმელები
- ე) ფარმაცევტული პროდუქტი ან/და საკვები დანამატები
- ზ) ტანსაცმელი ან/და ფეხსაცმელი ან/და სხვა სამოსი და შესაბამისი აქსესუარები
- თ) კოსმეტიკა ან/და პარფიუმერია.

ვ) ნებისმიერი საყოფაცხოვრებო ან/და სამშენებლო ან/და სხვა დანიშნულების:

- ვ.ა) ტექნიკა
- ვ.ბ) მოწყობილობა
- ვ.გ) ინვენტარი
- ვ.დ) ავეჯი
- ვ.ე) ტექსტილი





თავის მხრივ კი, სავაჭრო ობიექტი არის მაღაზია (მარკეტი, სუპერმარკეტი ან ჰიპერმარკეტი), სადაც არასასურსათო საქონლის საცალო რეალიზაცია ხორციელდება „ღია საწყობის“ პრინციპით. ღია საწყობი კი არის სავაჭრო სივრცე, სადაც იდენტიფიცირებულია მომხმარებელთა შესასვლელ-გასასვლელი, გასაყიდად განკუთვნილი არასასურსათო საქონელი განთავსებულია თაროებზე, დახლებსა და სხვა სათავსოებში, მომხმარებელი დამოუკიდებლად ან/და მოლარე-კონსულტანტის დახმარებით ირჩევს სასურველ არასასურსათო საქონელს და არასასურსათო საქონლის შექმნა-რეალიზაცია აღირიცხება შტრიხკოდებითა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.


აღნიშნული დოკუმენტი ასევე იძლევა ინფორმაციას, როგორ უნდა იხელმძღვანელოს ამ მითითებით გადასახადის გადამხდელმა მაშინ, როდესაც მის ეკონომიკურ საქმიანობასთან მიმართებაში, არ არსებობს ან არსებობს არასრული წინა კალენდარული წელი. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციის თარიღიდან პირველივე სრული კალენდარული წლის ბოლომდე, არაარსებითი დანაკარგი დადგინდება ამ პერიოდის თითოეული კალენდარული თვის მიმართ ცალ-ცალკე, შემდეგი წესით:

- ამ პერიოდში რეგისტრაციის წელს პირველად გამოვლენილი დანაკლისის შემთხვევაში, დანაკლისის გამოვლენის კალენდარული თვის მიმართ არაარსებითი დანაკარგი არის არასასურსათო დანაკლისი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება, გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღიდან ამ დანაკლისის გამოვლენის კალენდარული თვის ჩათვლით, გადასახადის გადამხდელის სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზებული არასასურსათო საქონლის სარეალიზაციო ღირებულებათა ჯამის 0.5%-ს
- ამ პერიოდში მეორედ და ყოველ შემდგომ ჯერზე გამოვლენილი დანაკლისის შემთხვევაში, დანაკლისის გამოვლენის კალენდარული თვის მიმართ არაარსებითი დანაკარგი არის არასასურსათო საქონლის დანაკლისი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება, გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღიდან ამ დანაკლისის გამოვლენის კალენდარული თვის ჩათვლით, გადასახადის გადამხდელის სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზებული არასასურსათო საქონლის სარეალიზაციო ღირებულებათა ჯამის 0,5%-ს, იმ პირობით, რომ აღნიშნული თანხა უნდა შემცირდეს წინა კალენდარულ თვეებში გამოყენებული არაარსებითი დანაკარგებით.



არაარსებითი დანაკარგი ექვემდებარება გადაანგარიშებას, თუ მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში რეალიზებული, მათ შორის დანაკლისად დაბეგრული, არასასურსათო საქონლის სარეალიზაციო ღირებულებათა ჯამი (დღგ-ის გარეშე), წინა სრული კალენდარული წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით:

- გაიზარდა 10%-ით ან მეტით, მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში „დაბეგრული დანაკლისები“ დაექვემდებარება იმავე კალენდარული თვეების დეკლარაციების გზით შემცირებას, რომლებშიც მოხდა მათი ასახვა (დაბეგრვა)
- შემცირდა 10%-ით ან მეტით, მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში „დაუბეგრავი დანაკლისები“ ექვემდებარება ამავე წლის დეკემბრის თვის საანგარიშო პერიოდის შესაბამის დეკლარაციებში ასახვას (დაბეგრვას).





ახლად რეგისტრირებულ გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, როგორც პირველი არასრული კალენდარული წლის ბოლოს, ისე პირველი სრული კალენდარული წლის ბოლოს, გადაიანგარიშოს არაარსებითი დანაკარგები.

წინამდებარე მეთოდური მითითება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- არ არის იდენტიფიცირებული საქონლის ქურდობის ან/და უკანონო მოხმარების განმახორციელებელი პირი.
- არ მომხდარა არაარსებითი დანაკარგის ფარგლებში შესაბამისი ზიანის/კომპენსაციის ვინმესთვის დაკისრება.
- არ არსებობს დანაკლისის გამომრიცხავი სხვა მტკიცებულება.

აღნიშნული მეთოდური მითითების გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი სპეციალური წესები:

- კალენდარული წლის ბოლოს გადაანგარიშების შედეგად შემცირებას დაქვემდებარებული დაბეგრილი დანაკლისი იგივეა, რაც არაარსებითი დანაკარგი.
- თუ გადასახადის გადამხდელს სურს, რომ საქონლის საბითუმო რეალიზაცია მოახდინოს იმავე ტერიტორიიდან (შენობა-ნაგებობიდან), სადაც განთავსებულია „ღია საწყობი“, აღნიშნული რეალიზაცია უნდა განხორციელდეს შესაბამისი საქონლის „ღია საწყობში“ შეტანის გარეშე.
- თუ გამოვლენილი დანაკლისი მოიცავს როგორც დღგ-ით დასაბეგრ, ისე დღგ-ისგან გათავისუფლებულ არასასურსათო საქონელს, თითოეულ დანაკლისში არაარსებით დანაკარგად პირველ რიგში ჩაითვლება დღგ-ით დასაბეგრი არასასურსათო საქონლის დანაკლისი. ამასთან, წლიური გადაანგარიშების შემთხვევაში, აღნიშნული რიგითობა შენარჩუნდება კვლავ თითოეული დანაკლისის მიმართ.

მეთოდური მითითება ძალაშია 2022 წლის 14 ოქტომბრიდან და გამოიყენება 2022 წლის 1 იანვრიდან გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისების მიმართ.



ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მეთოდურ მითითებებს სავაჭრო ობიექტებში გამოვლენილი არასასურსათო საქონლის არაარსებითი დანაკარგების დანაკლისად განუხილველობის თემაზე.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MENukidze@bdo.ge

► ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შებენიერი კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.